№ 76

სამშაბათი, 22 აპრილი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 76

აბათი, 22 აპრილი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ . —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

თავადი დათიკო სოლომონის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი და მისი ქალიშვილი ბაბო დავითის ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველის საყვარელ მეუღლისას და მეორეს—დედასას, **კნეინა ეკატერინე იაკობის ასულისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ ხუთშაბათს, 24 აპრილს, სოფ. აბანოში, გორის მაზრას, განსვენებულის გვამის დაკრძალვაზედ დასასწრებლად.

(1—100—1)

თავადი ნიკოლოზ დავითის ძე დიასამიძე შვილებითურთ, თავ. ევგენი გრიგოლის ძე გეგუთოვი, კნეინა ანნა გრიგოლის ასული ერისთავისა და კნ. ელისაბედ გრიგოლის ასული წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რა ნათესავთა და ნაცნობთა უეცრად გარდაცვალებას პირველი—მეუღლისა მეორენი—დედისა და დანარჩენი—დისა, კნ. **ნინო გრიგოლის ასულის დიასამიძისას** სოფ. დოესში (გორის მაზრა), სთხოვენ მათ მობრძანდნენ ხუთშაბათს აპრილის 24-ს, ქალაქ გორს სომხის დედა-ღვთის ეკკლესიაში წირვისა და პანაშვიდის მოსასმენად.—მიცვალებული დაიკრძალება სოფ. ბრილში.

(3—1)

## სამკერვალო სკოლა
## ქალთა ამხანაგობისა

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა, № 3.

(3—2)

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგე კომიტეტი აუწყებს წევრთა ამა საზოგადოებისა, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 22 მაისს, დილის 11 საათზე, ქართველ თავად-აზნაურთა სახლში.

**განსახილველნი არიან:**

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1-ს იანვრიდგან 1896 წ. 1-ს იანვრამდე 1897 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1897 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის სადგურისათვის მიწის სყიდვის შესახებ.

4) სხვა-და-სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები.

(5—უ—1)

### მთავრობის განკარგულებანი

—

ჯილდო მიეცათ: ნიკოლაევის საკარანტინო-სადამოჟნო სადარაჯოს გამგეს, ნადვორნი სოვეტნიკს სოფრომ კიკნაძეს და ორჯოხის საკარანტინო-სადამოჟნო კანტორის მდივანს, კოლლეჟსკი სეკრეტარს ალექსანდრე მიქაძეს—ორდენი წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა.

დამტკიცებულ იქმნენ თავისს თანამდებობაზედ: ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილის ბოქაული, კოლლეჟსკი ასესორი თავადი თუმანიშვილი და ამავე პოლიციის მეორე ნაწილის ბოქაულის თანაშემწე, გუბერნსკი სეკრეტარი თავადი ნაკაშიძე.

## ახალი ამბავი

—

*** ძმათა მირზოევთა ნავთის წარმოების ამხანაგობამ შემოსწირა „ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებას“ ორმოცი თუმანი. შემოწირული ფული უკვე გადაეცა ხსენებულ საზოგადოებას. ეს იშვიათ ამბავთა შორის შესანიშნავი ამბავია და სრულს მადლობას გამოიწვევს ქართველთაგან საერთოდ და წერა-კითხვის საზოგადოებისაგან საკუთრივ. აქ ისე ფული არ არის სახარბიელო, როგორც გული, რომელმაც მოაწოდა თავისი წვლილი კეთილ საქმეს წერა-კითხვის გავრცელებისას ქართველთა შორის.

*** ტფილისის მაზრის, სოფ. დიდლილოში მცხოვრებლებს უთხოვნიათ მთავარ-მართებელისათვის, რომ აღუკრძალეთ ტყის გაჩეხა ლილოს აგარაკების კერძო მეპატრონეთ, რადგან აქა აქვთ სათავე ჩვენ წყაროებს. ეხლავე ეტყობა, რომ წყალი კლებულობს და შემდეგ შეიძლება სულ დაშრეს და დიდს გაჭირვებაში ჩავცვივდეთ უწყლობისა გამო.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას კრება ჰქონდა 18 აპრილს და ამოირჩიეს საზოგადოების თავმჯდომარედ ე. პ. ჰაუდელინი, თავმჯდომარის თანაშემწედ—ნ. მ. ლარიონოვი, მდივნად—ა. ა. ნოვიცკი, თანაშემწეებად მდივნისა ბ-ნნი დელოვი და სობესტიანსკი, წიგნთ-საცავის გამგედ—ხაშჩინსკი და ხაზინადრად—ბ-ნი მელიქოვი. სარევიზიო კამისიაში: პანტიუხოვი, რუდენკო, პავლოვსკი, არტემიევი და ვოინო.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტს გამოუგზავნია ბ-ნ ტარატინოვისათვის, რომ მან სცადოს და სასოფლო სამეურნეო დაწესებულებათა და კერძო მეპატრონეთა მამულებში დასთესოს, 2 ფუთი თესლი ზეთის გამომხდელ და სამღებრო მცენარის „საფლორისა“ (carthamus tinetorius), რომელთაც შეუძლიანთ მზეუპრუტას მაგიერობა გასწიონ, თუ იხეირა, რადგან მზეუპრუტა მალე ფუჭდება სხვა-და-სხვა ჭიებისა და სოკოს სენისაგანაო.

*** 15 მაისს ტფილისის მაზრის მომრიგებელ სასამართლოში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საყურადღებო საქმე. 1890 წელს სოფელ წყნეთის მცხოვრებლებს ვანო და გოგია წენგუაშვილებსა და დავით მამასახლიშვილს უსესხნიათ ყასაბის სერგო ამირალოვისაგან 350 მანათი ექვსის თვის ვადით და 400 მანათის თამასუქი მიუციათ. ეხლა სერგო ამირალოვს თამასუქი წარუდგენია სასამართლოში და თხოულობს ფული გადაახდევინეთო, ხოლო ვანო წენგუაშვილი (გოგია გარდაიცვალა) და დათა მამასახლიშვილი ამბობენ, ფული თავის დროზედ გადავიხადეთ, მაგრამ ამირალოვმა თამასუქი აღარ დაგვიბრუნა, გვითხრა: „დამეკარგაო“ და თან დასძინა: „რისა გეშინიანთ, განა მე ისეთი კაცი ვარ, რომ მეორედ ფული გამოგართვათო?“ წენგუაშვილი და მამასახლიშვილი ამტკიცებენ, მოწმებიცა გვყავს, რომ ფული გადავიხადეთო და ასახელებენ აკოფა აივაზაშვილს, არტემა მანუკაშვილსა და სხვებსაც.

*** საჩხერე. 11 აპრილს შესრულდა სამი წელი თავადის ალექსანდრე მიხეილის ძის წერეთლის გარდაცვალების შემდეგ და გარდახდილ იქმნა მის საფლავზე პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ გარდაცვალებულის მახლობელი ნათესავნი, ნაცნობნი და პატივის მცემელნი. გარდაცვალებულის მემკვიდრემ თავადმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ წერეთელმა სახსოვრად თვისის საყვარელის მამისა შესწირა საჩხერის მომავალ პირველდაწყებითს საქალებო სკოლას, რომლის დაარსებაც თავს იდვა კნ. ელისაბედ გიორგის ასულმა წერეთლისამ, ერთი ნაკვეთი ადგილი, სივრცით ერთი ქცევა, დ. საჩხერეში მდებარე.

*** ქ. თელავი. აქედ სრული გაზაფხული იყო: მინდორი ამწვანებულიყო და ხეები თეთრათ გადაპენტილი იყო, მაგრამ 16 აპრილს მოიშალა ტაროსი და იმ ღამესვე კარგა ბლომათ თოვლი დადო. შემდეგ თოვა წვიმად გადაიქცა და აგერ მეოთხე დღეა თითქმის შეუწყვეტლივ სწვიმს დღე და ღამე.

ბევრს აქაურებს აშინებს ასეთი ტაროსების დაჭერა და მეტადრე თოვლის ჩამოყრა,—ვაი თუ ვენახები გაგვიფუჭოს და შარშანდელივით—დავრჩეთ პირში ჩალა გამოვლებულიო.

*** ტფილისის საკომერციო ბანკის ადმინისტრაციას დაუდგენია, დაასაჩუქრონ ბანკის მოხელენი ბანკის 25 წლის თავის არსებობის შესრულებისა გამო და ოთხის თვის ჯამაგირი მისცენ ჯილდოდ.

*** 20 აპრილს, დილის 8 საათზე, სამსახურს გარეშე მყოფმა გენერალ-ლეიტენანტ კოსიაკო იუსტინიანეს ძე ან ტუშკევიჩმა თავი მოიკლა რევოლვერით. თავის მკვლელობის მიზეზად ასახელებენ მუდმივს ავადმყოფობას. განსვენებულმა ბარათი დასტოვა, რომ ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო.

*** 19 აპრილს საღამო ჟამზე ვერის ცხენის რკინის გზის მატარებელზედ ვერის ახლოს ვიღაცა ჯიბგირმა ქისა ამოაცალა ანნა ალექსანდრეს ასულს პაროვიცკისას, რომელსაც ოთხი მანათი ჰქონოდა შიგა. მაშინათვე დაფაცურებულან პოლიციის მოხელენი, მიაგნეს ჯიბგირის კვალს და შეიპყრეს, იგი აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე სერგო მილილაშვილი. ქ-ნ პაროვიცკისას დაუბრუნეს ქისა და მილილაშვილი-კი სასამართლოს გადასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ს. იტრია**, (გორის მაზრა). ხანგრძლივის ლოდინის შემდეგ იტრიელებს ეღირსათ მღვდლის მოსვლა. მთელი დიდმარხვა უმწყემსოდ დარჩენილი ხალხი რაღაც არა ჩვეულებრივს მდგომარეობას ჰგრძნობდა. მამა ალექსანდრე ჯალიაშვილი ახალგაზდაა. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც სასულიერო სემინარია გაათავა და აქამდის ქარელში მღვდლობდა; საკმაოდ მომზადებულია, რომ თავისს სამწყსოს გაუძღვეს ღირსეულად, იმ სამწყსოს, რომელსაც გულშემატკივარი თითქმის არავინა ჰყავს, რომელსაც მგლის ხროვასავით გარს შემორტყმიან ჩარჩები და სცდილობენ უკანასკნელი მისი ნაშრომი ხელში ჩაიგდონ და მშიერ-მწყურვალნი ღვთის ანაბარად დასტოვონ...

იმედია, მამა ალექსანდრე ჯალიაშვილი მიაქცევს ყურადღებას თავისის სამწყსოს სულიერ გაჭირვებას და ეცდება სკოლის დაარსებას. სკოლის დაარსება აქ მით უფრო ადვილია, რომ მამა ჯალიაშვილის მოადგილემ მღ. დ. ტატიშვილმა ამის შესახებ ბევრი რამ გააკეთა—გააგებინა მისი მნიშვნელობა ხალხს და თუ თვისი მოღვაწეობა სკოლის დაარსებითაც ვერ დააგვირგვინა, აქ მისი იტრიიდგან გადაყვანა იყო მიზეზი. იმედია, ეხლა მამა ჯალიაშვილი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, თავისის მოღვაწეობის პირველსავე ნაბიჯს ახალთაობის აღზრდა-განათლებას დაუდებს სამირკვლად და ქვაკუთხედად და ამითი თავისს სახელს დაუვიწყარს ჰყოფს იტრიელებში და დაიმსახურებს იმათს სიყვარულსა და რწმენას.

რადგან სკოლაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ბედკრული და არა-სასიამოვნო მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება ზემო-ქართლი და კერძოდ სურამის მხარე უსკოლობით, ის მხარე, რომელიც ერთ საუკეთესო კუნჭულად ითვლება არამც თუ გორის მაზრაში, არამედ მთელს საქართველოში. იმრგვლივ ტყით შემოსილი და თითქმის ტყეში მდებარე მხარე ორწილ უადვილებს კაცს, თუ-კი იგი მოინდომებს, სკოლის აშენებას. აიღეთ ახლა ქონებრივი მდგომარეობა ხალხის და შეადარეთ იმათ მოძმეების მდგომარეობას და თქვენ ამ მხრივაც უპირატესობას ლიხელებს დაუთმობთ; აქეთ რომ უფრო ადვილია ფულის შოვნა, ეს ეჭვ გარეშეა და თუ ეს ფული ხალხის ჯიბეში არა რჩება, ამის მიზეზი სხვაა და მათ შორის უპირველესი უსკოლობაა—გაუნათლებულობა. თუ კვირა-უქმე დღეს სურამში ან ხაშურში მოგიხდებათ ყოფნა, სადაც გალეშებული ხალხი მიტორტმანებს სახლებისკენ, თქვენ თითონ დარწმუნდებით, თუ სად გარბის ხალხის ფული. აი კიდეც ამისათვისაა საჭირო სკოლა, რომ ძირეულად ამოფხვრას ეს მავნებელი ჩვეულება ხალხში და ახალი თაობა მაინც ააცილოს ამ გამლატაკებელსა და გამანადგურებელს ზნეობრივს სენს. სკოლისათვის-კი არავინა სცდილობს. ხალხს თუმცა შეგნებული აქვს სკოლის საჭიროება, მაგრამ ვერ გაუბედნია თითონ საქმე დაიწყოს და მრავალ გადასახადს გარდა სკოლის ხარჯიც თავს დაიტეხოს და ამისთვის მალა-უნებურად სკოლას გაურბის. მაშ ვინ უნდა იტვირთოს ამ მდგომარეობიდგან ხალხის გამოყვანა და სკოლის საქმის მოთავეობა? რასაკვირველია, უფრო შეგნებულებმა. აქ კი ბრალი ედება და ახალთაობის მოვალეობაში დგება სოფლის ინტელიგენცია, თუ კი იგი არის სოფლად და არ გაჰქცევია სო-

ფელს. ინტელიგენცია და მათ შორის მღვდელია მოვალე ჩააგონოს ხალხს სკოლის აუცილებელი საჭიროება და ყოველი დაბრკოლება მოაშოროს. ჩვენ კი რას ვხედავთ! მიმჯდარან მყუდროდ სახლში და ყველაფერი დავიწყებიათ, თითქოს იმათი ზნეობრივი მოვალეობა არ იყოს ყოველ კეთილი საქმის დაწყება, თაოსნობა?!..

მაგალითს სურამის მხრის მღვდლები წარმოადგენენ. თვითოეულის მრევლი 150—300 კომლისაგან შესდგება. და, ორის სამინისტრო სკოლის გარდა სურამსა და ხაშურში, არც ერთი სამრევლო სკოლა არ მოეპოვებათ. თუმცა ყოველი მრევლი ისეა დასახლებული და ქონებრივად უსრულველ-ყოფილი, რომ მალიან ადვილია, მეტადრე ეხლა, როდესაც თვით მთავრობამ მიაქცია ყურადღება სამრევლო სკოლის დაარსებას, თუ კი იტვირთებს ვინმე. ჩვენი მღვდლები მეტ შრომას გაურბიან და ამისთანა საქმისთვის ყურსაც არ იბერტყავენ.

მ. ლიხელი

—

**სოფ. ბორჩხა,** (ჭოროხის ხეობა). ერთი თვალ-საჩინო, მაგრამ სამწუხარო ახალი ამბავი მოუტანა ახალმა წელმა ქ. ართვინს, უფრო მომეტებულად-კი ამ ქალაქის მკვიდრ სომხებს. ეს ახალი ამბავი ის არის, რომ აგერ 17—18 წელიწადზედ მეტია, რაც ქ. ართვინში დაბინავებულნი არიან პირველის პლასტუნის ყაზახის ჯარის-კაცები, რომელთაგანაც 40—50-ათასს მანეთზედ მეტი შემოსავალი ჰქონდა ართვინის ქალაქს და ამითი ცოტად თუ ბევრად იქაური სომხები სულს იბრუნებდნენ, ის სომხები, რომლებიც ოსმალოს ბატონობის დროს ათასნაირად იყვნენ წვალებულნი. ეხლა შარშანწინდელმა ნიაღვარმა ართვინი შუაზე გაჰყო და მოაშორა ქალაქს ნაწილი და ჭოროხსაგან რამდენიმე საყენი დააქანა შენობებით. ზედ შერჩენილი საყდარი და ზოგიერთი შენობები დასკდა მიწის თავ-დაღმა დაქანების დროს და, რასაკვირველია, ვინც ამ ნაწილში მოჰყვა, თავ ზარი დაეცათ, დღე და ღამე ჭოროხისაგან მოელიან ჩაცოცვას სახლკარიანად.

ამ მოზვავებულს ნაწილში მოჰყვა პლასტუნების ჯარის-კაცთა ბანაკიც. ბატალიონის უფროსმა შეტყობინა თავისს დროზედ ეს ამბავი მთავრობას და აუხსნა, რა მდგომარეობაშიაც იყო ჯარის-კაცთა ბინა და ამასთან ისიც, რომ თითქმის ყოველ დღე მცირეოდენ წვიმის შემდეგ ეტყობა, რომ მიწა თან და თან ქვევით იწევს და საშიშარია ჯარის-კაცთა იქ დაყენებაო. მთავრობამ გამოჰგზავნა თავისს დროზედ მთამაღნის ინჟინერი, რომელმაც დაათვალიერა ეს ადგილები და იმ აზრს დაადგა, რომ დიდი დრო არ უნდა და ეს ადგილები ჩაწვება ჭოროხშიაო, ამიტომ ჯარის აქ გაჩერება საშიშიაო. მთავრობასავე განკარგულება მოუხდენია, რომ მთელის ბატალიონის შტაბი და ორი ასი, რომელიც დროებით ართვინში სდგას, გადაიყვანონ დ. არტანუჩს, გამოგზავნილია სამხედრო ინჟინერი კაპიტან განავალოვი, რომელმაც უნდა მაუჩინოს იქ ბინა ამ ჯარის-კაცებს. თუ ვინიცობაა ვერ იშოვიან ჯარის მოსათავსებელს სადგომს, მაშინ კარვებში უნდა დადგნენ და ამითი აიშორონ თავიდგან ყოველ დღე მოსალოდნელი ხიფათი.

ასე და ამ ნაირად მთავრობის განკარგულებისამებრ ართვინს ეკარგება ერთად-ერთი შემოსავლის წყარო. როგორც გავიგეთ ქალაქის მხრით გაუგზავნიათ თხოვნა. სთხოვენ ისევ აქ დარჩნენო ეს ჯარის კაცები, მაგრამ არა გვგონია მთავრობამ შეიწყნაროს. მთავრობა უსათუოდ მოსთხოვს ქალაქს იმისთანა პირობებს, რომლის შესრულება მოუხერხებელი იქნება. ამ ბოლო ხანებში სანდო კაცებისაგან გავიგეთ, რომ ვითომ ერთი ასის და ბატალიონის შტაბის გადმოყვანა უთხოვნიათ სოფ. ბორჩხაში. როგორც სახელმწიფოსათვის, ისევე ჯარში მოსამსახურესათვის ძლიერ სასარგებლო იქნება ასეთი ცვლილება. სახელმწიფოსათვის იმითი, რომ ბატალიონის ბარგი ბარხანას, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ ართვინიდგან არდანუჩში ათი ათასი მანათი ვერ გადიტანს და ბორჩხაში-კი ასი თუმანიც არ დასჭირდება ამ საქმეს. შტაბში მოსამსახურეთათვისაც ძლიერ სასარგებლო იქნება, რადგან ბათუმს დაუახლოვდებიან. მარტო ის იანგარიშეთ, რომ ბათუმიდგან არტანუჩში საჭიროვის ატანა ერთი ათად მეტი ჯდება, ვიდრე ბორჩხამდე, მაგალითად ფუთი ნავთი ბათუმში ღირს ათი შაური და არტანუჩში კი ოთხი მანეთი. იმედი გვაქვს ამ ცოტა ხანში გავიგებთ გადმოიტანენ თუ არა შტაბს ბორჩხაში და თუ გადმოიტანეს-კი დიდი ღვთის წყალობა იქნება ჩვენთვის.

ივ. ჯაიანი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „Кавказъ“-ში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი ბ-ნ პ. ლანკოსი:

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ტფილისში ვაჭრობ; ხუთმეტი წელიწადია, რაც რუსეთის ქვეშევრდომადა ვარ ჩაწერილი, ვიხდი ქალაქის ყოველგვარ ხარჯსა და ჩემზედ ხარჯი არაფერია დარჩენილი. წარსულ არჩევანების დროს მონაწილეობას ვიღებდი ვითარცა ამომრჩეველი და სხვათა შორის, პირველმა მე გამოვაცხადე უკმაყოფილება გამგეობის დასის ყოველგვარ უწესობისა გამო. ამ წლის ამომრჩეველთა სია მაიღე და ჩემი გვარი-კი ამ სიაში არ არის მოხსენებული. რას უნდა ჰნიშნავდეს ეს ამბავი?

მართლაც, რას უნდა ჰნიშნავდეს?!

## რუსეთი

—

ახალის გერბის წესდებით, რომელიც ამ ჟამად სახელმწიფო საბჭოშია წარდგენილი განსახილველად, აწინდელ ოთხ-აბაზიანის მარკების ნაცვლად მანეთიანი მარკები იქმნება შემოღებული და ეს მანეთიანი მარკები უნდა იხმარებოდეს იმ საქმიან ქაღალდებზედ, რომელიც ქონებას შეეხება. და ათ შაურიანი მარკები, სხვა დანარჩენ საქმისათვის სახმარებლად.

— უმაღლესმა მთავრობამ განმარტა, რომ შთამომავლობითნი აზნაური და პირადნი აზნაურნი სოვდაგართა წოდებაში ვერ ჩაირიცხებიანო.

— გამოცხადებულია, რომ ებრაელებს, კალმიკებსა და კირგიზებს, რომელთაც მართლ-მადიდებლობა აქვთ მიღებული ოჯახით და ცალკეც, ნება ეძლევათ დაანებონ თავი თავისს უწინდელს საცხოვრებელს ბინას, წინანდელ ერთმორწმუნეებს, და გარდასახლდნენ სხვა სოფელსა და ქალაქში ქრისტიანეთა შორის, თუ ვინიცობაა გადასასახლებლად ფული არ აღმოაჩნდათ, ხაზინიდგან მიეცემათ შემწეობაო. ამ შემწეობის რაოდენობის გამორკვევა ცალკე კაცისა და აგრეთვე ცოლ-შვილიანის დასახმარებლად საგუბერნიო მთავრობათა აქვთ მინდობილი.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის საქმე.** საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შესახებ გაზ. „Nord“-ი შემდეგის აზრისაა: „მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ სხვებს,— საბერძნეთ-ოსმალეთის ომში ჩაერიონ და მათ შორის ზავი ჩამოაგდონ, როცა ერთ-ერთი მხარე მეორეს სასტიკად დაამარცხებს. ამ ჟამად-კი ვერც ერთი დიდი სახელმწიფო ვერ მოიწადინებს და არც შეუძლიან საქმეში ჩაერიოს, მით უფრო, რომ არც ერთ მეომარ მხარეს ფიქრიც არ შეუძლიან იმის შესახებ, მიაღწევს იმ საგანს, თუ ვერა, რომლისკენაც მიისწრაფის. რაც შეეხება იმ ხმებს, ვითომც რუსეთს ეთქვას, რომ მედიატორულის სამართლით გარდასწყვიტეს საქმეო, ეს სრულებით ტყუილია“.

— ლარისის დაჭერის შემდეგ ოსმალეთის მხედრობას შესამჩნევი გამარჯვება არა უნახავს-რა. პირ-იქით, როგორც ლონდონიდგან მოსული დეპეშა გვაცნობებს, ოსმალეთის ჯარი ველოსტინოსთან ძლიერ დამარცხებულა. დეპეშა ამბობს, რომ ოთხშაბათს, ხუთშაბათსა დ პარასკევს ოსმალები იერიშით მივიდნენ ველოსტინოზე დ ვერას გახდნენ; ზიანი-კი საბერძნეთის ჯართან შედარებით, ერთობ დიდი მოუვიდათო. მაგრამ სჩანს, ოსმალებს იმედი არ დაუკარგავთ და ჰაქი-ფაშის უფროსობით ხელ-მეორედ აპირებენ ველოსტინოს თავდასხმას. სხვა დეპეშები იუწყება, რომ ოსმალეთის ჯარმა ტრიკალა დაიპყრა და ეპირის ლაშქარმაც ბერძნები სძლია და კუმურადოსის მაღლობი ადგილები დაიჭირაო. მაგრამ ეს ცნობები ოსმალეთის წყაროებიდგან მომდინარეობს, და ამიტომ, ცოტა არ

# ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

სიმართლევ, ჩემო ფარ-ხმალო,
ვიგმირებ შენის სიტყვითა:
გვირგვინს დავადგამ კეთილსა
ქებათა-ქების კითხვითა,
ბოროტს-კი პირში ვაფურთხებ
ზიზღით, გმობით და კიცხვითა,
მთელ ქვეყნის წუმპე-ტალახსა
თავს ჩამოვასხამ რისხვითა!..

დ. მაჩხანელი

**სამეცნიერო წერილი**

დარვინის ევოლიუციონური თეორია *)

გარეგანი მიზეზი ანუ კანონი, რომელსაც გავლენა აქვს ორგანიზმის სახის შეცვლასა, მის გარდაგვარებაზედ, როგორც ამბობს თვით დარვინი, მრავალია, მაგრამ აქ ჩვენ ზოგიერთებს აღვნიშნავთ.

ორგანიზმის შეცვლაზედ, რასაკვირველია, გავლენა აქვს თვით მისს ცხოვრებას, ე. ი. იმ გარემოებათ, რომელშიაც იგი იმყოფება; ეს გავლენა ბევრჯელ შეუმჩნეველია ადამიანის თვალისათვის, რადგან ძალიან მცირედია და დამოკიდებულია ორგანიზმის აგებულობაზედ. ერთ და იგივე გვარის ორგანიზმებზედ ერთი და იგივე ცხოვრება სხვა-და-სხვა ფერად ჰმოქმედობს, სხვა-და-სხვა გვარად, შეუმჩნევლად სცვლის, როგორც, მაგალითად, სიცივე ზოგს ადამიანს ქარებს უჩენს, ზოგს ხველებას, ზოგს ანთებას; მაშასადამე, ეს გავლენა დამოკიდებულია თვითოეულ ადამიანის აგებულობაზედ. ბევრჯერ ერთისა და იმავე გვარის მცენარეები, ერთის თესლისაგან წარმომდგარნი, ერთმანეთისაგან განირჩევიან და ზოგიერთებს ისეთი თვისებანიცა აქვთ, რომელიც არც ერთ მათ წინაპარს არ ჰქონია, მაშასადამე, აქ პირდაპირ ცხოვრების გავლენა ჰსჩანს. მრავალს მცენარეებზედ შენიშნულია დიდრონი ხორკლები, ზოგიერთი-კი მოკლებულია ამას; მეცნიერებს ძლიერ აკვირვებდა ეს მოვლენა, შემდეგში-კი გამოჩნდა, რომ ეს ხორკლები ჩნდება ერთ წვეთ შხამისაგან, რომელსაც მწერი უშვებს მცენარეში ჩხვლეტის დროს. აქედგან ჩვენ ვხედავთ რა ცვლილება ხდება, როდესაც შხამისაგან იცვლება შიგნეული წვენი მცენარისა, მისი საზრდო, მისი მაცოცხლებელი. ჩვენ-კი ვიცით, რომ ეს წვენი ბევრჯელ დამოკიდებულია იმ ნიადაგისაგან, რომელზედაც სთესია მცენარე, მაშ ნიადაგს გავლენა აქვს წვენზედ, წვენს მცენარის სახეზედ, რომელიც ასე თვალ-საჩინო არის ადამიანისთვის. ეს ცვლილებანი უსათუოთ უნდა მივიღოთ მხედველობაში, ამბობს დარვინი, როდესაც ვუკვირდებით შინაურ ცხოველებისა და მცენარეების წარმოშობას და მათის სახის გარდაცვლასაო.

ორგანიზმის ცხოვრებას უფრო ძლიერი გავლენა აქვს მის მშობიერს სისტემაზედ. ბევრჯერ ძალიან ადვილია გაშინაურება რომელისამე გარეულ ცხოველისა, ანუ მცენარისა, მაგრამ იგინი შვილებს და ნაყოფს არ იძლევიან ხოლმე, თუმცა დედალნი და მამალნი ერთვიან ერთმანეთს. მაგალითად, ინგლისში ხორცთ-მჭამელნი ძუძუ-მწოვარა ცხოველები, გაზრდილნი ტყვეობაში, მშვენივრად მრავლდებიან, გარდა დათვებისა, ამათ-კი იშვიათად ჰყავთ შვილები, ხორცთ-მჭამელნი ფრინველნი-კი სრულებით არა სჩეკენ ბარტყებს, თუმცა კვერცხებს სდებენ ხოლმე. აგრეთვე ზოგიერთი გაშინაურებული ველური მცენარე ნაყოფიერ თესლს იძლევა მხოლოდ მორწყვის შემდეგ, ზოგი მორწყული-კი აღარ იძლევა ნაყოფიერ თესლს, ასე რომ წყლის მატება და დაკლებისაგან არის დამოკიდებული მათი გამრავლება. ამ ფაქტებიდგან ვხედავთ, რომ მშობიერი სისტემა ძლიერ ნაზი და ფაქიზია, და ამისათვის ადვილად იცვლება თუ ორგანიზმის ცხოვრების გარემოებანი შეიცვალა; როდესაც შეიცვლება ეს მშობიერი სისტემა, მაშინ შეიძლება მის ნაყოფსაც ზოგიერთი შეუმჩნეველი ცვლილება დაეტყოს. ამ გვარის ნაყოფისაგან შემდეგში გაიზრდება სრული ორგანიზმი, რომელიც შეიცვლება და გაირჩევა თავის წინაპართაგან. წინანდელი ბუნების-მეტყველები მეტად დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ მშობიერ სისტემის ცვლილებას და ყოველ ორგანიზმის ცვლილებას ამ ფაქტორით ჰხსნიდნენ. დარვინმა დაამტკიცა, რომ ეს შემცდარი აზრია და იგი მხოლოდ ერთ მიზეზთაგანად უნდა ჩაითვალოსო.

ორგანოს ხმარებას, ორგანოს მოქმედებას დიდი გავლენა აქვს მის ფორმასა, მის განვითარებასა და ცვლილებაზედ. დარვინმა აღმოაჩინა, რომ შინაურის იხვის ფრთის ძვლები უფრო ნაკლებს იწონავს, ვიდრე ფრთის ძვლები გარეულ იხვისა, ფეხის ძვლები-კი მეტს იწონავს, ვიდრე იგივე ძვლები გარეულ იხვისა. ამ ცვლილების მიზეზი ის არის, რომ შინაური იხვი ბევრს დადის და ცოტასა ფრინავს, გარეული-კი ბევრს ფრინავს და ცოტას დადის. ერთხელ მომხდარი ცვლილება გარდაეცემა შემდეგ ჩამომავლობასაც, ამ გვარად ჩნდება ახალი ცვლილება ორგანიზმოში. ასე გაჩნდა შინაური იხვი და განსხვავდა გარეულისაგან.

რადგან ყოველი ორგანიზმი შეადგენდა ერთს განუწყვეტელ არსებას, რომლის ორგანოები მკვიდრად არიან ერთმანეთზედ გადაბმულნი და ერთმანეთისაგან დამოკიდებულნი, ამისთვის ცვლილება ერთის რომელისამე ორგანოსი უსათუოდ გამოიწვევს მეორე ორგანოს ცვლილებას, მხოლოდ ხშირად მრავალი ცვლილება ძნელად შესამჩნევია. მეჯოგეები დარწმუნდნენ, რომ გრძელ-ფეხებიანს ცხენს ყოველთვის მოგრძო თავი აქვსო, მაშ ამ ორ ორგანოთა შორის არსებობს რაღაცა დამოკიდულება; ვთქვათ, ადამიანმა მიაქცია ყურადღება რომელსამე ცხოველს მისის ცვლილებების გამო, მაგალითად გრძელ ფეხებიან ცხენებს: შერთვა ისინი ერთმანეთთან და ამით გააძლიერა ეს ცვლილება, მაშინ მის უნებლიედ შეიცვლება უსათუოდ მეორე რომელიმე ორგანოც, ჩვენ მაგალითში შეიცვლება ნაკვთი ცხენის თავისა და ამ გვარად წარმოიშობება გრძელ-ფეხებიანი და მოგრძო თავიანი ცხენი. დარვინმა შეამჩნია, რომ მოკლე ნისკარტიან მტრედებს ყოველთვის მოკლე ფეხები გამოჰყვება, გრძელ ნისკარტიან მტრედებს-კი გრძელი ფეხები.

ზოგიერთნი დამოკიდებულებანი ორგანოთა შორის, სწორედ გასაოცარნი არიან, მაგალითად: თეთრი კატები ცისფერის თვალებით ყოველთვის ყრუნი არიან, და სხვანი.

ყველა შეძენილი ცვლილება ორგანიზმს შეუძლიან გარდასცეს თავისს ჩამომავლობას; მისმა მოდგმამ შეიძინოს კიდევ, იმ ზემო აღნიშნულ მიზეზების ანუ კანონების გამო, ახალი ცვლილებანი, რომელსაც გარდასცემს შემდეგს ჩამომავლობას და ასე, ამ რიგად, ერთი მეორეს, მაშინ უკანასკნელი ჩამომავალი სრულიად არ ეგვანება თავისს წინაპარს და გაოცებაში მოიყვანს ადამიანს, რომელსაც ეტყვიან, რომ ეს ჩამომავალი, წარმომდგარია იმისთანა წინაპარ ორგანიზმისაგან, რომელიც ახლა იმას სრულია არა ჰგავს, მეტად-

*) იხ. „ივერია“ 1886 წ. №№ 83 და 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს, საექვოა. ყოველ შემთხვევაში ყველა ამ ცნობიდგან ის აზრი უნდა შევადგინოთ, რომ ამ ჟამად ორთავე მხრის გამარჯვება და დამარცხება თანაბარია, ხოლო ერთ-ერთის სასტიკად დამარცხებას ამ მოკლე ხანში უნდა მოველოდეთ. ამ მოკლე ხანში ველოსტინოსთანაც დიდი შეტაკება მოხდება და არტისთანაც. ამ უკანასკნელ ქალაქში, როგორც დეპეშა გვაცნობებს, ბერძნის ჯარი შეკრებილა, რადგან ოსმალეულთა ჯარის მხრივ თავ-დასხმას მოელიან. თუ ამ ორთავე ქალაქში (ველოსტინოსსა და არტაში) ბერძნები ეხლაც დამარცხდნენ, შეიძლება მაშინ დიდნი სახელმწიფონი ჩაერივნენ საქმეში და ზავი ჩამოაგდონ.

—

**ავსტრიის იმპერატორის რუსეთში ყოფნა.** ავსტრიის იმპერატორის ფრანც-იოსების მობრძანებას პეტერბურგში გაზეთები დიდს მნიშვნელობას აწერენ. მართალია, ამბობენ, ფრანც-იოსებს სამაგიერო დარბაზობა უნდა გაეწია რუსეთის იმპერატორის სახლობისათვის, მაგრამ თუ მხედველობაში ვიქონიებთ საბერძნეთ-ოსმალეთის ომს და საზოგადოდ დღევანდელს საქმეთა გაჭირვებულს ვითარებას, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ორ დიდ სახელმწიფოს მეფეების ერთი მეორესთან პირის პირ შეყრა, რომელნიც მშვიდობიანობის დაცვას ერთნაირად არიან მოწადინებულნი, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო. როგორც რუსეთისა, ისე ავსტრი-უნგრეთის გაზეთები დიდად დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის მპყრობელნი ერთმანეთს პირობას დაუდებენ, რომ თავისი გავლენა იხმარონ მშვიდობიანობის დასაცველად, რაც ასე საჭიროა როგორც იმათ სამფლობელოთათვის, აგრეთვე მთელი კაცობრიობის კეთილ-დღეობისათვისო.

„Journal de St.-Petersborg“-ი ამბობს: „მისი უდიდებულესობა იმპერატორი ფრანც-იოსები დღეს პეტერბურგს მობრძანდა. ჩვენის სატახტო ქალაქის მკვიდრნი დიდის მოწიწებით ეგებებიან ყველასაგან პატივცემულ მეფეს, რომელსაც ჩვენს საყვარელს მეფესთან მეგობრული კავშირი აერთებს. უმაღლესი სიბრძნით და მშვიდობიანობის მხურვალე სიყვარულით, მეფე ფრანც-იოსებმა ყველა თავის ქვეშევრდომის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მთელი რუსეთი, რომელიც საერთო მშვიდობიანობას ავსტრი-უნგრეთზე არა ნაკლებ აფასებს, შეუერთდება და ბანს მისცემს პეტერბურგს, რომელიც ასე გულწრფელად და აღტაცებით მიეგება მისს იმპერატორებით უდიდებულესობას“ ო.

„Neue Freie Presse“: „მართალია, იმპერატორ ფრანც იოსებს პეტერბურგში წაბრძანება წინადვე ჰქონდა გარდაწყვეტილი, რადან ამას ზრდილობიანობა მოითხოვდა, მაგრამ ამ მოგზაურობას ამ ჟამად, თუ საბერძნეთ-ოსმალეთის ომს ვიქონიებთ სახეში, პოლიტიკური ბეჭედიც აზის. რუსეთი და ავსტრი-უნგრეთი ბოძები არიან, რომლებზედაც აღმოსავლეთის მშვიდობიანობაა დამყარებული. იმპერატორ ნიკოლოოზის ტახტზედ აბრძანების დღიდგან რუსეთსა და ავსტრი-უნგრეთს შორის მეგობრული კავშირი დამყარდა. იმპერატორ ფრანც-იოსების ეხლახან პეტერბურგში წაბრძანება და იქ მის დასახვედრად მზადება იმის მომასწავებელია, რომ ორ სახელმწიფოთა მეგობრული კავშირი უფრო განმტკიცებულ იქმნება და ღრმად გაიდგამს ფესვებს. მეგობრული კავშირი მშვიდობიანობის სიყვარულმა გამოიწვია, რომლის დაცვა ყველა დიდ სახელმწიფოს სურვილს შეადგენს. ყოველივე ეს იმისი მომასწავებელია, რომ ატეხილ უთანხმოების მშვიდობიანად თავიდან მოშორება შეუძლებელი საქმე არ არის. ეს საქმე დიდს შრომასა და მეცადინეობას თხოულობს, მაგრამ ხელს ვერაფერს ვერ შეუშლის, რომ ამ დიდს საქმეს შეუდგნენ. იმპერატორ ფრანც-იოსების მოგზაურობას ამ მხრივ ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, მომეტებულ ნაწილად, ამაზედ არის დამყარებული ევროპის მომავალი მშვიდობიანობა“.

დანარჩენი გაზეთებიც თითქმის ამასვე იმეორებენ.

---

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

8 აპრილი.

დღეს გავიდა აქედან ხუთი ჯავშნიანი გემი, სამი დიდი და ორი პატარა. ეს ორი უკანასკნელი სურსათით იყო სავსე. ქალაქი კავალა, არხიპელაგზედ, ბერძნებმა შემოქალტეს გემებით და დიჯი ზიანი მისცეს ქალაქს. დღეს უნდა წასულიყო ბერძნის დესპანი აქედგან, მხოლოდ გემის უქონლობის გამო ხვალემდის დარჩა. ხვალ მიდის რუსეთის გემით. გუშინ გამოცხადდა სულთანის ბრძანება, რომ ყველა ბერძნის ხელ-ქვეითნი 15 დღის განმავლობაში ოსმალეთიდგან გავიდნენ, ეგრეთვე ოსმალეთის ქვეშევრდომებმა საბერძნეთს თავი დაანებონო. დღეს მოითხოვა ოსმალეთის მთავრობამ ოსმალონი, რუმინიაში დაპატიმრებულნი, რომლებსაც რუმინელები „მეტეორის“ გემის დაღუპვის განზრახვას აბრალებენ; ამ გემზედ 700-მდე ბერძენის ვოლონტიორი იყო. გემი მართლა კინაღამ ააფეთქეს და ის-კი არ იციან დანამდვილებით, ვინ იყო. ჯერ-ჯერობით ოთხი ოსმალოა დაპატიმრებული. რუმინიის მთავრობა უარს ამბობს, ვერ დაგიბრუნებთო.

კვირა დილიდგან დღეს საღამომდის არავითარი ამბავი არ მოსულა თესალიიდგან. როგორც ჰგონიათ აღკრძალული უნდა იყოს ომის შესახებ რისამე წერა. გუშინ საღამოს ბერძნის პატრიარქი დიდის ამალით გამოემგზავრა ილტიზ-კიოსკში. პატრიარქის ამალა ორმოცის ეტლით მიდიოდა და ათი მღვდელ-არხიმანდრიტი ცხენებით ახლდნენ. პატრიარქის ეტლს ექვსი შეიარაღებული ცხენოსანი მისდევდა, რომელთაც თოფები მუხლებზე ებჯინათ. წინ კვერთხით ხელში ადლის სიგრძე წვერიანი ვიზანტიურის ტანისამოსით და მაღალის ქუდით კაცი მიდიოდა ცხენით. საკვირველი სანახავი იყო. ხალხი არ ეტეოდა ქუჩებში. კარგა მოუგვიანდა პატრიარქს და დღეს ავიდა ტახტზედ. ბერძნები გუშინს აქეთ ცოტა მიყუჩდნენ. აქ იმ აზრისანი არიან, ეს ცუდი ნიშანიაო. ამბობენ სულთანმა პატრიარქი არ დაამტკიცაო და არც დაამტკიცებს, ვიდრე არ დათანხმდება, რომ ბერძნები ჯარში იქმნენ გაყვანილნიო.

დღევანდელი ამბები სრულიად დომხალივით არის არეული ერთი მეორეში. ოსმალეთის აქაური გაზეთები იუწყებიან, რომ ენიშერამდის მივიდა ოსმალეთის ჯარი და მარტო თეფელა დარჩა აუღებელიო. გერმანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალებმა 28 საათის განმავლობაში 13 ათასი ბერძენი გასწყვიტეს, საზღვრებზედ გადარეკეს, რამდენიმე აფიცერი მოუკლეს და ოთხი ზარბაზანი წაართვესო და ამავე ომში 20,000 ოსმალო დაიხოცაო. საბერძნეთის გაზეთები, რომელიც ჩუმად შემოაქვთ, სულ წინააღმდეგს ამბებს იუწყებიან, ბერძნები იანინას მიუახლოვდნენო, სალონიკს ყუმბარები დაუშინეს და კავალა დაანგრიესო. აქ საყურადღებოა გერმანიის გაზეთების ნაუწყები ამბები, რადგან ოსმალებიც ასე ლაპარაკობენ. კრიტიდგან საკვირველი ამბები მოდის. მეამბოხენი თურმე ღამე როგორღაც შეიპარნენ ციხეში, სადაც ოსმალები არიან შეფარებულები, ქალაქ კანეას ახლო, და შეუმჩნევლად აჰმართეს თავიანთი ბაირაღი. დილით მახლობელ ზღვაში მყოფმა ევროპის გემებმა რომ დაინახეს, ეგონათ, მეამბოხეებს ღამე ამოუწყვეტიათ ოსმალები და თითონ დაუჭერიათ ციხეო, მაშინვე დაუშინეს თოფები და საშინელი ალიაქოთი ასტყდა, დიდი ზიანი მისცეს სიმაგრეს ბ მცხოვრებლებს. ოსმალები გაშტერებული იყვნენ ამ შემთხვევით, ბოლოს როგორც იყო მიხვდნენ, ჩამოაგდეს ბერძნების მიერ ამართული ბაირაღი და თავიანთი ბაირაღი ამართეს. მეამბოხენი-კი შორიდგან სეირს უყურებდნენ. პოლკოვნიკი ვასოსი თავის ადგილას იყო და თავის ბაირაღებით რაღაც ნიშნებს აკეთებდა თურმე. ათინიდგან მოსული გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალებს ოთხი ფაშა მოუკლით და ორი დაუჭირეთო. აქ ხმა გავრცელდა, ვითომ ბერძნების ბან-

---

რე თუ შუათანა ჩამომავლობა არსებობისთვის ბრძოლაში განქრა, აღარ ცოცხლობს, აღარც მოიძებნება,—მისი წინაპარი-კი, კაი მდგომარეობის გამო, შეინახა და ცოცხლობს დედა-მიწის რომელსამე კუთხეში. რომ არსებობს ჩამომავლობითი გარდაცემა, ამაში არ ეჭვობს არც ერთი მეჯოგე, არც ერთი მებაღე. ყველამ იცის, თუ შერთვეს მწევარი მწევარს, გამოვა მწევარი, თუ შერთვეს ორი დიდრონი მედოღე ცხენი, მათგან ჩამოვა კაი გამქცევი და დიდის ტანის კვიცი, და სხვანი. მაშასადამე, ჩამომავლობითი გარდაცემა არსებობს, მხოლოდ რა კანონებს ემორჩილება იგი,—ეგ გამოურკვეველია, რადგან ბევრჯელ შვილი-შვილი ჰგავს პაპას, ანუ რომელსამე უფრო შორეულ წინაპარს და არა დედ-მამას. ჩვენ შინაურ ცხოველთა შორის შემჩნეულია, რომ ის ცვლილებანი, რომელნიც გამოჰყვება მამლებს, ყოველთვის გარდაეცემათ ხოლმე ისევ მამლებს, და არა დედლებს. გარდა ამისა, თუ რომელიმე ცვლილება მოხდა ერთ წლოვანებაში მის ჩამომავლობაშიაც ეგ ცვლილება გამოჩნდება იმავე წლოვანებაში, მაგალითად, ჩვენ შინაურ ცხოველებს რქები ეზრდებათ მაშინ, როდესაც ისინი უახლოვდებიან ასაკოვნებას.

რაც უფრო რთულია ფორმა ორგანიზმისა, რასაკვირველია, უფრო ადვილად დაეტყობა ყოველი ცვლილება, ვიდრე უბრალო ფორმის ორგანიზმს. რთულ ორგანიზმში თითოეულ ორგანოს ცალკე დანიშნულება აქვს: ფილტვები სუნთქვისათვის არის, კუჭი საჭმლის მონელებისათვის, გული სისხლის გავრცელებისათვის და სხვანი; უბრალო ფორმის ორგანიზმში-კი ყველა ამ დანიშნულებას ბევრჯელ ასრულებს ერთი ორგანო, როგორც მაგალითად, ლოკოკინები პირის საშუალებით სჭამენ, სუნთქავენ და ინელებენ კიდეც; როგორც ვხედავთ, ეს უბრალო ორგანო უფრო ადვილად შეეწყობა გარემოებათ, თუ გამოიცვალა ორგანიზმის ცხოვრების პირობანი და არ მოითხოვს მთელ ორგანიზმის გარდაცვლას. რთულ ორგანიზმში-კი სულ სხვასა ვხედავთ მაგალითად ავილოთ ადამიანი: თუ შეიცვალა რომელიმე მისი უაღრესი ორგანო, იგი უნდა დაიღუპოს.

მეორე იმ მიზეზთაგანი, რომელთაც გავლენა აქვთ გაშინაურებულ ცხოველებისა და მცენარეების გადაგვარებასა და წარმოებაზედ, არის შერთვა (скрещиваніе) სხვა-და სხვა გვარის (видъ) ორგანიზმებისა, ან კიდევ ერთის გვარისა, მაგრამ სხვა ჯიშისა (разновидность). როდესაც ადამიანს მოეწონება რომელიმე ცვლილება ორგანიზმში, მაშინ ის სცდილობს აირჩიოს ამ ცვლილებით ორგანიზმები და ერთმანეთთან შერთვით გააძლიეროს ეს ცვლილება მათ შთამომავლობაში, ანუ მათს ნაყოფში. სწორედ ამ გვარ მოქმედებით გააჩინეს მეჯოგეებმა ერთის მხრივ დიდრონი, ღონიერი, შესაბმელი ცხენები და, მეორეს მხრივ, წვრილი, მაღალი და ძლიერ გამქცევი სადოღე ცხენები...

შერთვაც ემორჩილება თავისს კანონებს, ამისათვის ბევრჯელ სხვა-და-სხვა გვარისგან არ ჩნდება ჩამომავლობა, თუმცა ისინი ერთვიან ერთმანეთს, და თუ გაჩნდა, ეს ჩამომავლობა აღარ მრავლდება შემდეგში. მაგალითად, რომ შევრთვათ ჰაკი ცხენი და ულაყი ვირი, გაჩნდება ჯორი, რომელიც უფრო მიემსგავსება ვირს, ვიდრე ცხენს, მაშასადამე, აქ ვირს უფრო გავლენა აქვს, ვიდრე ცხენს. ჯორი-კი აღარ იძლევა ჩამომავლობას. ეს იმისთვის ხდება. ამბობს დარვინი, რომ ჩვენ ვაერთებთ ორ ორგანიზმს, რომელნიც ერთმანეთიდგან განირჩევიან და ამ შერთვის გამო იშლება ის შეწყობა და თანხმობა, რომელიც არსებობს მის ორგანოების ნაწილებს შორის, რისთვისაც ორგანიზმი ველარ უძლებს სხვა-და-სხვა გვარ ცხოვრების პირობებს, მეტადრე ძლიერ იშლება მშობიარე სისტემა და ამისათვის რჩება უნაყოფოდ. შერთვა ერთის ჯიშის ორგანიზმებისა, მხოლოდ დაშორებულ მონათესავეთაგან, აუმჯობესებს და აძლიერებს ნაყოფს, რომელიც შემდეგში უფრო ძლიერ მრავლდება...

ამ კანონების დასამტკიცებლად დარვინი თვალს ადევნებდა მრავალ ცხოველსა და მცენარეს. მცენარეთა შორისაც არის დედალი და მამალი ყვავილები, რომელთა შერთვითაც ჩნდება ნაყოფიერი თესლი. ამისთანა მცენარეებს ეკუთვნის, მაგალითად, დეკა. მამალ დეკის ყვავილებს აქვთ პატარა ზროები, რომელნიც პატარა პარკებით თავდებიან; ამ პარკებში მრავალი პატარა მარცვალია. დედალ დეკის ყვავილებს აქვთ ისევ პატარა ზროები, რომელნიც თავდებიან პატარა ღია ტუჩებით, სწორედ ამ ტუჩებში გადატანილი უნდა იყვნენ ის პატარა მარცვლები, რომელნიც არიან მამალ ყვავილების პარკებში. ეს გადატანა შეუძლიან ქარს, მაგრამ ამ გვარ შერთვას ყველაზედ ძლიერ ხელს უწყობენ მწერები, როგორც, მაგალითად, ფუტკარი და სხვა. ბევრს ყვავილებს, მაგალითად, ლობიოს, დაფნის ხის ყვავილს, შიგნიდგან გამოჰჟვენს ტკბილი წვენი ანუ ნექტარი, რომელსაც ძლიერ ეტანებიან მწერები, როგორც ფუტკრები, პეპელები და სხვანი. ამ ნექტარის ძებნის დროს მწერები არღვევენ, სჩხვლეტენ ყვავილებს, დაჰფრინავენ ერთის ყვავილიდგან მეორეზედ და დაეძებენ უფრო ტკბილს ნექტარს. ამ ძებნის დროს მათ ტანს ეკვრება პატარა მარცვლები მამალ ყვავილისა, გადაფრენის დროს ეს მარცვლები გადააქვთ დედალ ყვავილებზედ და ამ გვარად აუღლებენ ერთმანეთში ყვავილებს. ამის დასამტკიცებლად დარვინი ზრდიდა ლობიოს (Lobelia fulgens) ცალკე, ასე რომ არ აძლევდა ნებას ზედ დამსხდარიყვნენ მწერები და ფუტკრები, რომელნიც იმისს ბაღში დაფრინავდნენ, ამ მდგომარეობაში ეს ლობიო არ აძლევდა ნაყოფიერ თესლს, როგორც-კი მიუშვებდა ფუტკრებს, ან თითონ გადმოიტანდა ამ მარცვლებს, მაშინვე გაჩნდებოდა ნაყოფიერი თესლი. ზოგიერთ მცენარეების ყვავილში მოთავსებულია როგორც მამალ ყვავილების პარკები თესლით, ისე დედალ ყვავილების ტუჩებიც, ე. ი. წარმოადგენენ არკუმს *), ამ ორ-ბუნებიან ყვავილებს აქვს ისეთი იარაღი, რომლითაც თავისს მარცვლებს ჰგვის და იშორებს უფრო ადრე, ვიდრე ტუჩები მზად იქნებიან ამ მარცვლების მისაღებად, ასე რომ თავისსავე მარცვლებს არ იღებს, რადგან მათი ნაყოფი უფრო სუსტი გამოდის, მაშასადამე, თვით ბუნებას დაუწესებია, რომ შერთვა სხვა გვარ ყვავილებისა უფრო სასარგებლოა. აგრეთვე იქცევიან ჩვენი მებაღენი და მეჯოგეები, მხოლოდ მათ გაუგებრად და გამოცდილების გამო სჩადიან ამას.

ეს ფაქტი გვიჩვენებს, რა ძალა აქვს შერთვას და ნათლად გვიხატავს, რა დიდი დამოკიდებულება არის მწერთა და მცენარეთა შორის. ვთქვათ, ნელ-ნელა შეიცვალა რომელიმე მცენარე, მისი ყვავილიც ისე შეიცვალა რომ შუაგულს ყვავილში გამოჟვენს ის ტკბილი ნექტარი, რომელსაც აგროვებს ფუტკარი; მაშინ ფუტკრის ხორთუმიც, რომლითაც სწოვს ამ ნექტარს, უსათუოდ ნელ ნელა უნდა შეიცვალოს, დაგრძელდეს; რომელსაც არ შეეცვლება ხორთუმი, ვეღარ მისწვდება ნექტარს და შიმშილისაგან დაიღუპება. ამ ცვლილებას კი, როგორც ჩვენ უკვე ვიცით მოჰყვება ცვლილება სხვა რომელისამე ნაწილისა, ორგანოსი და ამ გვარად გაჩნდება ანუ წარმოიშობება ახალის ჯიშის ფუტკარი.

გიორგი დეკანოზიშვილი

(შემდეგი იქნება)

*) არკუმი.

კირს ზოგრაფს მოესყიდოს იზედბეგი, სულთანის მდივანი, და ამ უკანასკნელს ყველა ედჰემფაშისაგან მოსული დეპეშა დაემალოს. იზედბეგი ეხლა დატყვევებულიაო, ამბობენ.

წუხელის დეპეშა მოვიდა ელასონიდგან მთავარ-სარდლის ედჰემ-ფაშისაგან, რომ ნახევარ საათს შემდეგ ვიქნებით ქ. ლარისაშიო. ეს ქალაქი ოსმალეთის საზღვრიდგან ოთხის საათისს საველ მანძილზედ არის, 1886 წლის ომის შემდეგ ეს ქალაქი უომრად დაუთმო ოსმალეთმა საბერძნეთს ევროპის თხოვნისამებრ. ოსმალები ამბობენ, — წინ მივდივართ, მაგრამ ძვირად-კი გვიჯდება წინ სვლაო. ის ხმები გამართლდა, რომ 28 საათის ომის განმავლობაში 20,000 ოსმალელი დახოცილან და 15,000 ბერძენი. ორშაბათს კიდევ საშინელი ბრძოლა ამტყდარა და 5,000 ოსმალო მომკვდარა, ბერძენთაგან-კი 2,000. დიდის გაჭირვებით და სისხლის ღვრით იწევს წინ ოსმალეთი.

— ჩვენ-კი გავიმარჯვებთ, რომ ევროპა გაგვიშვებდესო, სთქვა ერთმა მოხუცმა ოსმალომ.

— რაც უნდა ჰქმნათ, სულ ტყუილია, ჩემო მეგობარო, უპასუხა „Mip. Отголоски“-ს კორესპონდენტმა იური კაზიბეგმა, მე არა მჯერა, რომ თქვენ ოდესმე ომი მოიგოთ; ის დრო წავიდა, როცა ვაჟკაცობა და ხმალი სჭრიდა, ეხლა სწავლა-განათლება და ხერხია საჭირო, თქვენ-კი ეს არა გაქვთ და თქვენი ჯარის ყველა უფროსები უსწავლელნი არიან დღესაო.

— მაგიერ ნაცვლად ჩვენ რჯული გვაქვს მტკიცედ და ღმერთი შეგვეწევა, მიუგო მოხუცმა.

— აბა ეგა გღუპავთ, აი, ფანატიკოსობამ დაგწიათ უკან. როგორ ვერ მიხვდით ამდენ ხანს, რომ აგრე რომ იყოს, ხომ ყველგან უნდა გაგემარჯვათ.

მოხუცმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი და ნაღვლიანად მოსწია ნარგილე.

იასე რაჭველი

## დამაკვირდი

(ვერტეიმერისა)

ცნობილი მცნება სამღთოწერილისა ბევრისათვის ეხლა ესრე შეცვლილი: ოქვლითა მოყვასისა შენისათა სწამდე ბურსა შენსა.

***

მართლად სჯას უფრო მეტი გამბედაობა უნდა, ვიდრე ჭკუა.

***

ქორწინება ხშირად მარტო ორთა გულთა გაყრაა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ამერიკელებს გაუკეთებიათ უუდიდესი ცეცხლის გემი, რომელსაც სახელად „პენსილვანია“ ეწოდება. გემს $83\frac{1}{2}$ საჟენი სიგრძე აქვს, 9 საჟენი სიგანე და 7 საჟენი სიმაღლე. გემში ჩამართულია ორი მანქანა, რომლებსაც 6000 ცხენის ძალა აქვთ. „პენსილვანია“ სხვა ყველა გემებზედ უკეთესად არის თურმე მოწყობილი. ამ გემის პირველ კლასში თურმე 186 მგზავრი ეტევა, მეორე კლასში 122, ერდოზედ 1000 და თუ საჭიროება მოითხოვს, 4000 კაციც დაეტევა. რამ სიდიდე ყოფილა ეს ახალი გემი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს თუ მოვახსენეთ, რომ ამ გემში, ხალხის გარდა 1200 ვაგონის საქონელი ეტევა. გემს ელექტრონით ანათებენ. გემზედ 150 მოსამსახურე კაცია.

**

ერთი ამერიკელი აფიცერი ამტკიცებს, რომ ფრანი კარგად შეიძლება გამოიყენოს კაცმა ომიანობის დროს. ამ აფიცერს გაუკეთებია ოთხი დიდი ფრანი, გადაუბამს ერთმანერთზედ და აუშვია ჰაერში. ფრანებისათვის მოუბავს მაგარი კანაფი და მეორე წვერი დაუხვევია ჭახრაკზედ. ფრანები რომ მაღლ ავიდნენ და კანაფი გაიჭიმა, აფიცერი ჭახრაკის შემწეობით კანაფზედ ასულა 15 ადლის სიმაღლეზედ. ოთხს ფრანს კაცი ადვილად შეუმაგრებია ჰაერში. ამ გვარად ომიანობის დროს შეიძლება კაცი ფრანის შემწეობით მაღლა ავიდეს და დურბინდით მტრის ბანაკი და მიდამო დაათვალიეროს.

**

ლონდონის ფოსტა-ტელეგრაფის დირექტორსს ბ-ნ პრისს წაუკითხავს მოხსენება შესახებ ახლად მოგონილ უმავთულო ტელეგრაფისა. ასეთი ტელეგრაფი უკვე გაუმართავთ ლონდონსა და ზოგიერთ ქალაქებ შორის. ამ ჟამად განზრახვა აქვთ ასეთივე, უმავთულო ტელეგრაფი გჭამართონ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ლამანშის სრუტეზე.

**

ნესტიან ოთახს ასე შეეტყობა. შუა ოთახში დაჰყარეთ $2\frac{1}{2}$ გირვანქა ახლად წყლით დაშლილი კირი და ჩაჰკეტეთ კარ-ფანჯარა. 24 საათის შემდეგ კირი ასწონეთ და თუ 2 მისხლით მაინც მეტი გამოვიდა უწინდელ წონაზედ, ოთახი ნესტიანი ყოფილა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 აპრილი

**პეტერბურგი.** 19 აპრილს; დილის $10\frac{1}{2}$ საათზედ, საზღვარ გარედგან მობრძანდა პრინცესა ირენა, პრუსიის პრინცის ჰენრიხის მეუღლა, ხელმწიფა იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის და. ალექსანდრეს სადგურში პრინცესას დაუხვდნენ იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. პრინცესა ალექსანდრეს სასახლეში წაბრძანდა.

19 აპრილს გატჩინოს წაბრძანდნენ ხელმწიფა მარია თეოდორეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული.

**ლონდონი.** „Daily Chroncle“-ს ფარსალოდგან აუწყებენ: „ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს ოსმალებმა იერიში მიიტანეს ველესტინოზე. იერიში ხანგრძლივი და სასტიკი იყო, მაგრამ ვერას გახდნენ. ოსმალებს დიდი ზიანი მოუვიდათ, ბერძნებს ნაკლები.

**ბუქარესტი.** ცნობილ ნოტის მიღებისათანავე, მთავარ მინისტრმა რუმინიის ელჩს დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგს: „გრაფ მურავიოვს რუმინიის მთავრობის მხრივ სრული კმაყოფილება განუცხადეთ იმის გამო, რომ რუსეთის ელჩმა გვაუწყა, — რუმინიის მთავრობა საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შესახებ სისწორიდ და კეთილ-გონივრად იქცევაო. რუმინიის პოლიტიკას მუდამ ისა ჰქონდა აზრად, რათა დიდ-სახელმწიფოთ ხელი შეუწყოს საყოველთაო მშვიდობიანობის დაცვის საქმეში, რომელიც სახელმწიფოს მყუდროებისა და წარმატების საფარველს შეადგენს. რუმინიის მთავრობა ბედნიერადა ჰრაცხს თავის თავს, რომ მისი სამართლიანი და კეთილ-გონივრული საქციელი მოწონებულ იქმნა იმპერატორ ნიკოლოზისა და მისის უავგუსტოესის სტუმრის, იმპერატორ ფრანც-იოსებისაგან“.

**ათინა.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა: მინისტრები ტეოტოკისი და გამადოსი გაგზავნილ იქმნან ფარსალოს ლაშქრის მდგომარეობის გასაცნობად.

**კონსტანტინეპოლი.** პორტამ ნება დართო, ბერძნები კიდევ ერთი კვირა დარჩნენო.

რუსის სტაციონერი „დონეცი“ ათონისაკენ წავიდა.

ეპირიდგან ბერძნები უკან იხევენ.

**კაპშტადტი.** მერიმენმა პალატაში წინადადება წარადგინა, პალატამ სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადოსო. მერიმენის წინადადებას ხმა ჩამოუტარეს; ხმები თანაბრად გაიყო; სკიპერის ერთის ხმის წყალობით საქმე მთავრობის სასარგებლოდ გათავდა.

**ლონდონი.** „Times“-ს ლარისიდგან დეპეშით ატყობინებენ: „ვოლოს არე-მარეში მყოფი ოსმალეთის ცხენოსანი ჯარი ქვეითა ჯარის მოსვლას უცდის, რომელმაც დღეს უნდა მოახწიოს, რათა ქალაქის აღებას მიჰყოს ხელი. ბერძნების მომეტებული ნაწილი პირეას წავიდა ზღვით.

**კონსტანტინეპოლი.** 5 ბატალიონმა, მუსტაფა-ფაშის უფროსობით, ბერძნები ბეზბუნარისა ანუ პენტეპიგალის არე-მარეს მაღლობებიდგან განდევნეს და ეს ადგილები დაიჭირეს.

**ლარისა.** ედჰემ-ფაშა შტაბით შამოვიდა აქ. ლარისაში მყუდროება სუფევს; ვაჭრობა ხელახლა იწყება. ედჰემ-ფაშის დეპეშა იუწყება, რომ გაირი-ფაშის პირველმა დივიზიამ ტრიკალა დაიპყრაო.

**ნიუ-იორკი.** ვესტ-ინდიაში მომხდარ მიწის-ძვრის დროს ასობით დაიხოცა ხალხი; ზარალი დიდია. მიწის ძვრა უფრო ძლიერი იყო მონსერატში, ხოლო უფრო მეტი ხალხი გვადელუპაში დაიხოცა. მიწის ძვრის დროს ზოგიერთი ადგილები წყალმა წალეკა.

**რომი.** იუზლიდგან იუწყებიან: ზოგიერთმა იტალიელმა, რომელთაც თან ჯარი ახლდათ, მოისურვეს აბაშეთის საზღვარზედ გადასვლა გალლასის მხრით, ვაროსთან. რადგანაც სარდლებმა ამის ნება არ მისცეს, ბრძოლა მხდა და ორთავე მხრიდგან რამდენიმე კაცი მოკლულ იქმნა. თავს დამსხმელთა შორის იყო კაპიტანი ბოტეგო. ტყვედ კიდევ ორი იტალიელი წაიყვანეს.

**სოფია.** რუსეთის მთავრობის მოწერილობა დიდის სიამოვნებით მიიღეს.

**ათინა.** საბერძნეთის ჯარმა თავი მოიყარა არტაში, რომელსაც ოსმალები ალყის შემორტყმას უპირებენ.

ხმა დადის, რომ ვასოსი კრიტიდგან უნდა გაიხმონო.

**ფიუმე.** სერბიის მეფე მობრძანდა აქ და აქედგან აბაციოში წაბრძანდა სადარბაზოდ რუმინიის დედოფალთან.

**კონსტანტინეპოლი.** ედჰემ-ფაშა იუწყება: 18 აპრილს, საღამოთი, ველესტინოსაგან ერთის საათის სავალ მანძილზედ ბრძოლა მოხდა, რომელიც 19 აპრილს დილით განახლდა. ოსმალებმა აიღეს სამი სიმაგრე და ოთხი წრე ლოჟემენტებისა (ლოჟემენტი ხელ-და-ხელ გაკეთებული სიმაგრეა ქვეითა ჯარისთვის). ბერძნებმა უკან დაიწიეს და ადგილი დაიჭირეს ერთის სოფლის მახლობლად, რომელიც ველოსტინოსაგან ჩრდილოეთისაკენ მდებარეობს. ერთმა ბათალიონმა ეს სოფელი დაიპყრო. ჰაქი-ფაშა ორი ბათალიონით და ორი ბატარიეთ ველოსტინოსაკენ მიდის.

ეპირიდგან ოსმალეთის ჯარის სარდალი დეპეშით იუწყება: „ევზონთა ერთმა ბატალიონმა და ორმა ბატარეიამ, მათზე იერიშის მისვლისა გამო დასცალეს ქერევან სერაი, დაიწიეს კუმუსალოსისაკენ და გზაში ერთი ზარბაზანი დასტოვეს. კუმუსალოსის მაღლობები ოსმალელთ უჭერიათ“.

პეტერბურგის ბირჟა, 18 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —,, | — „ | — „ |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $210\frac{1}{2}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $101\frac{1}{8}$ | — „ | „ — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{8}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99\frac{3}{8}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98\frac{3}{4}$ | — „ | —„ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | $279\frac{3}{4}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | —„ | — | 244 |


## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლისთვის 1897—1901 წ. ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები 1897 წლის 18 მაისს იქნება. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოაცხადებს, კრება რომელ ადგილას შესდგება და რომელ საათზედ დაიწყება. 18 აპრილიდგან 2-ს მაისამდე (ამ დღის ჩათვლით) ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, სანამ მუშაობა არ შეწყდება, ამომრჩეველთ შეუძლიან წარმოადგინონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა. ამასთანავე ამომრჩეველთ 18 მაისის კრებაზედ დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებს კენჭი უყარონ. ამავე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სახელობაზედ მიიღება წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმოსნობის სურვილს თითონვე განაცხადებენ და ყუთს დაიდგამენ. ამომრჩეველს, თუ ჰსურს, შეუძლიან ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდგან ამოწერილი 24—33 მუხ., დაბეჭდილი დარიგება არჩევანების წეს-რიგის შესახებ და ბლანკები, რომელშიაც უნდა აღნიშნონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებული კანდიდატები. თითოეულ ამომრჩეველის მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 96 არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმეს ამ რიცხვზედ მეტი კანდიდატი დაუსახელებია, დათვლის დროს კანდიდატებად დასახელებულად ჩაითვლებიან მხოლოდ თავში მოხსენებული 96 კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, შესწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გაიღება და ეს უკანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმოსნობისთვის კენჭი უნდა იყარონ, და ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყვანს რამდენი ხმით არის დასახელებული თითოეული კანდიდატთაგანი. კანდიდატი, რომელიც ხუთ ამომრჩეველთა ნაკლებისაგან იქმნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონვე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდგით და კენჭი მიყარეთო.

რწმუნების ქაღალდი შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 შენიშ. და 25—27 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თავისს გაუყრელს შვილს მისცეს რწმუნების ქაღალდი.

2) თუ რომელიმე ამომრჩეველი კრებას ვერ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თავ ის მაგიერ კრებაზედ დასწრების უფლებას მეორე ამომრჩეველს ვერ გარდასცემს და ამიტომ ამ გვარი რწმუნების ქაღალდის გაცემა არ შეიძლება. (3—2)